საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს

დეკლარაცია

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) მიღებისა და გამოცხადების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო, რომელიც მოქმედებს საბჭოთა ხალხის სახელით და გამოხატავს მის სუვერენულ ნებას, იღებს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციას (ძირითად კანონს) და აცხადებს, რომ იგი ძალაში შედის 1977 წლის 7 ოქტომბრიდან.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1977 წლის 7 ოქტომბერი.

გუშინ მოსკოვში მუშაობა დაამთავრა სსრ კავშირის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მეშვიდე სესიამ, რომელმაც მიიღო სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 198
(6007)

1977 წ.
8 ოქტომბერი,
შაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского. Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის

კანონი

სსრ კავშირის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) მიღების დღის საყოველთაო-სახალხო დღესასწაულად გამოცხადების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს:

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) მიღების აღსანიშნავად კონსტიტუციის მიღების დღე — 7 ოქტომბერი გამოცხადდეს საყოველთაო-სახალხო დღესასწაულად — სსრ კავშირის კონსტიტუციის დღედ.

7 ოქტომბერი ჩაითვალოს უქმე დღედ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი.
1977 წლის 7 ოქტომბერი.

საქართველოს სპორტკომიტეტში

ახალ კონსტიტუციას — ჩვენი მომავალი წარმატებანი!

სსრ კავშირის IX მოწვევის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე VII სესიის მუშაობასა და ამ სესიაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის, საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლას მიეძღვნა საქართველოს სპორტკომიტეტის თანამშრომელთა, თბილისის ფიზკულტურული და სპორტული ორგანიზაციების, სპორტსაზოგადოებების მუშაკთა მიტინგი, რომელიც გუშინწინ რესპუბლიკის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტში გაიმართა.

მიტინგი გახსნა საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ დ. ბერტენავამ. მან აღნიშნა, რომ კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვაში მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ფართოდ მონაწილეობენ, აგრეთვე, ჩვენი რესპუბლიკის ფიზკულტურელები, სპორტსმენები, ამ დარგის მუშაკები. მათ კონსტიტუციის სრულყოფისთვის წამოაყენეს მოსაზრებები, წინადადებები... და აი საყოველთაო სახალხო განხილვა ფინიშთან მივიდა, საკონსტიტუციო კომისიამ ათეულ ათასობით წინადადება შეისწავლა, შეაჯერა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიას განსახილველად წარუდგინა კონსტიტუციის პროექტი სათანადო შესწორებებით. განვითარებული სოციალიზმის ქვეყნის კონსტიტუცია ახალ დიდ პერსპექტივებს შლის საბჭოთა ხალხის წინაშე, ყველა პროფესიის ადამიანის წინაშე, ამიტომაც ყველა ჩვენგანმა გაორკეცებული ენერგიით, შემოქმედებითად უნდა იშრომოს მომავალი ახალი წარმატებების მისაღწევად, საბჭოთა სპორტის სადიდებლად.

მიტინგზე სიტყვებით გამოვიდნენ „შრომითი რეზერვების" რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. შენგელია, „განთიადის" ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე ა. გიორგობიანი, ფიზკულტურის ტექნიკუმის დირექტორი ვ. კინკაძე, საქართველოს სპორტკომიტეტის მძლეოსნობის უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლის დირექტორი ა. არხანგელსკი, ფიზკულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი ბ. თავართქილაძე, „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე ჯ. ძლენტი, სპორტული ოსტატობის № 1 რესპუბლიკური სკოლის დირექტორი ნ. დუმბაძე, ჭიდაობის სამმართველოს უფროსი ზ. ქორიძე, თბილისის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე გ. ყირმელაშვილი, „ლელოს" რედაქტორი ა. ბასილაია, საქართველოს სპორტკომიტეტის სპორტთამაშების განყოფილების გამგე გ. მეგრელიძე, ფეხბურთის სამმართველოს უფროსი ა. ჭკუასელი, საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე შ. ქველიაშვილი, სპორტული ტანვარჯიშის უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლის დირექტორი მ. ჯუღელი და ალპური კლუბის დირექტორი დ. ობოლაძე. მათ თქვეს, რომ საქართველოს ფიზკულტურულ-სპორტულმა ორგანიზაციებმა კიდევ უფრო უნდა აამაღლონ რესპუბლიკაში მასობრივ-გამაჯანსაღებელი და ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის დონე, ამრავლონ წარმატებები.

მიტინგის მონაწილეებმა ერთხმად მიიღეს დადგენილება: მოწონებულ იქნას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის საქმიანობა და ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენება. ფიზკულტურისა და სპორტის ყველა მუშაკმა, ყველა ფიზკულტურელმა, სპორტსმენმა გულდასმით შეისწავლოს სესიის მასალები, სესიაზე ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენება და ახალი კონსტიტუციის მიღებასთან დაკავშირებით ამრავლონ წარმატებანი.

60
სსრკ
კონსტიტუცია
(ძირითადი კანონი)

სამშობლოს სადიდებლად

გულისყურით მოვისმინე ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მოხსენება. დიდია შთაბეჭდილება. სიამაყით მევსება გული, რომ დიადი საბჭოთა ქვეყნის მოქალაქე ვარ.

სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია ოქტომბრის რევოლუციის დიდი მონაპოვარია, რევოლუციისა, რომლის მე-60 წლისთავს მალე აღვნიშნავთ. კონსტიტუციის პროექტის განხილვაში მილიონობით საბჭოთა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა და ყველამ მხარი დაუჭირა და მოიწონა იგი.

ახალი კონსტიტუცია ჩვენი ნათელი, ბედნიერი მომავლის მაცნეა. მშობლიური კომუნისტური პარტიის, მისი ლენინური პოლიტბიუროს ხელმძღვანელობით ჩვენს ქვეყანაში აშენდება კომუნიზმი.

ამჟამად ბევრი კეთდება საბჭოთა ადამიანის საკეთილდღეოდ. ხალხზე ზრუნვითაა ნაკარნახევი ის ფაქტი, რომ ახალ კონსტიტუციაში ფიზკულტურისა და სპორტის, ტურიზმის განვითარების შესახებაა საუბარი. ეს ბევრს ავალებს ფიზკულტურულ მუშაკებს, კერძოდ, ჭადრაკის სასახლის მშრომელებს, რომლებიც მოწოდებული არიან მამა-პაპათა თამაშის პროპაგანდას, მის განვითარებას შეუწყონ ხელი.

ჭეშმარიტად ისტორიულ პერიოდში ვცხოვრობთ. ეს კი მოგვიწოდებს ვიყოთ უკეთესი, მეტი ვიშრომოთ ჩვენი საყვარელი სამშობლოს სადიდებლად.

ლ. წეროძე,
რესპუბლიკური ჭადრაკის სასახლის დირექტორი, საკავშირო და საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი.

ადამიანზე ზრუნვით

დიდი ინტერესით მოვისმინეთ სსრ კავშირის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მეშვიდე სესიაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის, საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარის ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მოხსენება ახალი კონსტიტუციის პროექტის განხილვის შედეგების შესახებ.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლამ ფრთები შეასხა გურჯაანის რაიონის სპორტკომიტეტის თანამშრომლებს, რაიონის ფიზკულტურელებსა და სპორტსმენებს.

სსრ კავშირის ახალ კონსტიტუციაში ხაზგასმით არის ნათქვამი, რომ ჩვენს მშრომელებს აქვთ დასვენების, ფიზიკური წრთობის უფლება. ფიზიკურად ძლიერი, მორალურად ჯანსაღი — სწორედ ასეთი უნდა იყოს მომავლის ადამიანი, მომავლისა, რომლისკენაც მიგვიძღვის ჩვენი კომუნისტური პარტია.

ა. ჟუჟულაშვილი,
გურჯაანის რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე.

სსრ კავშირის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესია

დეპუტატ მ. ა. შევარდნაძის გამოსვლა

(თბილისის ლენინის საარჩევნო ოლქი, საქართველოს სსრ)

ამხანაგო დეპუტატებო! ღრმად სიმბოლურია, რომ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სახელოვანი იუბილე დაემთხვა ისტორიული მნიშვნელობის მოვლენას — სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღებას.

დიდმა ოქტომბერმა საბჭოთა ხალხის ყოველი თაობა რევოლუციურ თაობად გადააქცია და მას მსოფლიოს ნამდვილი რევოლუციური გარდაქმნის დიადი პერსპექტივები დაუსახა. ახალი კონსტიტუციის მიღების დღე სამუდამოდ დაამახსოვრდება კაცობრიობას.

ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მოხსენება ახალ შუქს ჰფენს ჩვენს სინამდვილეს, ჩვენი ყოფიერების სიდიადეს, ყოველივეს, რაც გარჯითა და ბრძოლით არის მიღწეული და მოპოვებული.

დღეს არ შეიძლება არაფერი თქვა იმ ადამიანზე, რომელიც ესოდენ ამაღლდა თანამედროვეთა თვალში და რომელიც ასე ორგანულად შეესისხლხორცა მშობელ ხალხსა და მშობლიურ პარტიას, გუშინ უმაღლესი საბჭოს ტრიბუნიდან ომახიანად გაისმოდა მისი საოცრად ახლობელი, ადამიანური სითბოთი აღსავსე ხმა, მისი ბრძნული სიტყვები და დახვეწილი, გულში ჩამწვდომი, ნათელი და გასაგები ფრაზები, რომლებსაც მთელი მსოფლიო ისმენდა, ლენინური სისადავე, მეცნიერული სიღრმე, ბოლშევიკური სიმტკიცე და ურყეობა, ღრმა ინტერნაციონალიზმი, მაღალი ჰუმანიზმი, თანდაყოლილი კაცთმოყვარეობა, მოწოდება — იყოს კოლექტივისტი და დემოკრატი, პროფესიით რევოლუციონერი, მუდმივი მზადყოფნა კისრულობდეს ყველაზე მეტ პასუხისმგებლობას ხალხისა და ისტორიის წინაშე, მტკიცე ხასიათი, გული, რომელიც ადამიანთა სიყვარულს ვერ იტევს, — აი, ყოველივე ის, რითაც ძვირფასია ჩვენთვის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი. (ტაში).

გრძნობდე მუშათა კლასის, გლეხობის, ინტელიგენციის, ყოველი ერის, ყოველი ხალხის სუნთქვას, გრძნობდე ეპოქის მაჯისცემას — ეს დიდი ნიჭი და დიდი ხელოვნებაა. ამ ღირსებების მეოხებით ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი გავლენას ახდენს ეპოქაზე, მსოფლიო მოვლენებზე. იგი პოლიტბიუროს, პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრებთან ერთად, მთელ პარტიასთან ერთად გვიკვალავს მომავლის გზას. არა მგონია, შევცდე, თუ ვიტყვი, რომ მოხსენების მოსმენის შემდეგ ყოველი ჩვენგანი, როცა მარტო დარჩა, ისევ და ისევ იხსენებდა ფაქტებსა და მოვლენებს, მიღწევებსა და გამარჯვებებს, რომლებიც ჩვენმა ხალხმა ბედნიერი აწმყოს დასამკვიდრებლად მოიპოვა და, ბუნებრივია, რომ ყოველ ჩვენგანს აღეძრა ხურვილი გონების თვალი მოავლოს წარსულს, გაიხსენოს რანი ვიყავით და რანი გავხდით.

არ შემიძლია დღეს არ გავიხსენო ცნობილი ქართველი მწერლის ლორთქიფანიძის სიტყვები, რომელმაც ძველი საქართველოს დაკნინების შემაძრწუნებელი სურათი დაგვიხატა. იგი წერდა: „იყიდება საქართველო, მინდორ-ველით, მთა-გორით, ტყით, ვენახით, სათესით; წარსულის ისტორიით, მომავალი ხვე-ბედით; მშვენიერის ენით; ვაჟკაცურის ხასიათით. სტუმართ-მოყვარეობით; დიდებულის სანახაობით, წმინდა ჰაერით; ლურჯის ზღვით; მოწმენდილ-მოკაშკაშებული ცით; თვალწარმტაც ბანოვანთა გუნდებით; გონებაგახსნილ ვაჟებით; მალხაზი ბავშვებით... ყიდის ყველა. თავადი, მღვდელი, ვაჭარი, ავაზაკი, დიდი და პატარა, ჭკვიანი და ხულელი, ლოთი და პირაკრული“. ასეთია წარსულის სურათი. მწერლის გოდება მწარე მოგონებადღა დაგვრჩა. დღეს ცხოვრების მწვერვალების დალაშქვრა ნორმად იქცა და ამიტომ ველარავის გააკვირვებ იმით, რომ წინათ ესოდენ ჩამორჩენილმა ხალხმა საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე უდიდეს წარმატებებს მიაღწია კულტურულ განვითარებაში, იმით, რომ რესპუბლიკაში გვაქვს 4 ათასი სკოლა, 19 უმაღლესი სასწავლებელი, 23 თეატრი, ბევრი სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულება, გვყავს 24 ათასზე მეტი მეცნიერმუშაკი, გვაქვს თვითმფრინავები, ელმავლები და ავტომობილები, პროგრამული მართვის ჩარხები, ეგრეთ წოდებული „ჭკვიანი“ მანქანები, შავი და ფერადი მეტალურგია, დიდი ქიმია, მანგანუმი, ნავთობი, ქვანახშირი, მაღალგანვითარებული სარკინიგზო და საავტომობილო ტრანსპორტი, ზღვაოსნობა, თევზსაჭერი ფლოტი, რომელიც მსოფლიოს თითქმის ყველა ზღვასა და ოკეანეში ეწევა რეწვას, — აი არასრული ნუსხა იმ კოლორიტული შტრიხებისა, ლაზათს რომ მატებს თანამედროვე საქართველოს პორტრეტს. საქვეყნოდ არის განთქმული ქართველ მათემატიკოსთა, ფიზიკოსთა, ფიზიოლოგთა, ფსიქოლოგთა, ლინგვისტთა მეცნიერული სკოლები, ქართული ლიტერატურა და ხელოვნება.

ახალი კონსტიტუცია ჩვენი განვითარების ახალი ეტაპია. სწორედ ამით აიხსნება კაცობრიობის ისტორიაში უპრეცედენტო მასების დაინტერესება და საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობა, რომლითაც მიმდინარეობდა ახალი კონსტიტუციის პროექტის განხილვა.

სსრ კავშირის კონსტიტუცია თვით ცხოვრება და ცხოვრებისეული ფილოსოფიაა. ასეთია ჩვენი თანამედროვეებისა და ჩვენი მშრომელების კრედო. ჩვენი ახალი კონსტიტუცია გახდება მომავლის კონსტიტუცია, სოციალური ოპტიმიზმის კონსტიტუცია, იგი არ არის პროგრამა, მაგრამ არც პასიური ფენომენია. აძლევს რა ადამიანებს, კოლექტივებსა და ხალხებს, რესპუბლიკებს უდიდეს უფლებებს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების დარგში, ამით კონსტიტუცია ამკვიდრებს იმ ურყევ საძირკველს, რომელზეც განვითარებული სოციალისტური საზოგადოებაა დაფუძნებული.

ხალხთა მეგობრობის, ძმობის, ნდობის, თავისუფლების სოციალისტური გარანტიების მეოხებით სოციალიზმის პირობებში ერებისა და ეროვნებების განვითარების ძირითადი და განმსაზღვრელი ტენდენცია გახდა მათი აყვავებისა და დაახლოების ტენდენცია. ჩვენი საზოგადოებისა და სახელმწიფოს მრავალეროვნულობა კაცობრიობის ისტორიაში პირველად გახდა არა ქვეყნის სისუსტის მაჩვენებელი, რაც ჩვენს მტრებს ეწადათ, არამედ საზოგადოების ეკონომიკური აყვავების ხელშემწყობი ფაქტორი და სულიერ სიმდიდრეთა გამოყენების წყარო. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხთა ეროვნული ენერგია ემსახურებოდა და ემსახურება მხოლოდ სოციალიზმის დიად საქმეს, ვინაიდან საქმე ეხება სოციალისტური ერების ეროვნულ ენერგიას. თავისი დიალექტიკური განვითარების გამო ეროვნული ენერგია კაცობრიობის ისტორიაში პირველად გახდა, და გახდა სწორედ ჩვენს დროში, ნამდვილი ინტერნაციონალური ძალა. ეს ლენინური ეროვნული პოლიტიკის დიდი გამარჯვებაა.

დღეს საქართველოს მშრომელთა მთელი ძალები ხმარდება იმას, რომ გაზარდონ რესპუბლიკის წვლილი საერთო-საკავშირო კუთვნილებაში, ახალ საფეხურზე აიყვანონ ჩვენი დიადი სამშობლოს ეკონომიკური ძლიერება და უზრუნველყონ მისი კულტურული აყვავება.

რესპუბლიკის სამრეწველო პროდუქციის ზრდის ტემპი ამ საიუბილეო წელს 107 პროცენტს შეადგენს. ქვეყანა მიიღებს 160 მილიონი მანეთის ზეგეგმით პროდუქციას, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში საიუბილეო წლის დამლევს პრაქტიკულად აღარ იქნება ჩამორჩენილი საწარმოები.

წელს სოფლის მეურნეობის პროდუქციის ზრდა შარშანდელთან შედარებით შეადგენს 6-8 პროცენტს, ხოლო საშუალოდ ხუთწლედის წლებში — 29-30 პროცენტს. მიმდინარე წელს სახელმწიფო მიიღებს 412 ათას ტონა ხარისხოვან ჩაის ფოთოლს, 450 ათას ტონა ყურძენს, 400 ათას ტონა ხილსა და კენკროვნებს, 320 ათას ტონა ბოსტნეულსა და ბაღჩეულს, 160 ათას ტონა ციტრუსს, 140 ათას ტონა კარტოფილს, 150 ათას ტონა მარცვლეულს, 140 ათას ტონა ხორცს, 250 ათას ტონა რძეს, 360 მილიონ ცალ კვერცხს და სხვა სურსათსა და სამრეწველო ნედლეულს. სოფლის მეურნეობის პროდუქციის საერთო ღირებულება დაახლოებით 2 მილიარდ მანეთს შეადგენს.

იმისათვის, რომ შევასრულოთ ლეონიდ ილიას ძის მითითება — გავზარდოთ საქართველოს წვლილი სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში, ჩვენ მეტი მზრუნველობა გვმართებს რესპუბლიკის საწარმოო ძალების განვითარებისათვის, ეტყობა, დროა დღის წესრიგში დავაყენოთ ქართული ჩაის წარმოების მკვეთრი გადიდების, მისი ხარისხის გაუმჯობესების საკითხი, მიზანშეწონილი იქნებოდა ამ საკითხზე საკავშირო დადგენილების გამოტანა. ჩვენ ჯერ კიდევ არ გამოგვიყენებია მეციტრუსეობის, მეხილეობის, მევენახეობის, მებოსტნეობის, მეცხოველეობის შემდგომი განვითარების ყველა რეზერვი.

მაგალითად, საქართველოში უკანასკნელ ხანს აღმოჩენილი თერმული წყლების გამოყენების ბაზაზე რესპუბლიკას შეუძლია ზამთრობითაც აწარმოოს დიდძალი იაფი ბოსტნეული ქვეყნის სამრეწველო ცენტრების მოსახლეობის მოსამარაგებლად.

ახალი კონსტიტუცია, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ ამ სესიაზე წაკითხული მოხსენება ყველა შესაძლებლობას გვაძლევენ საიმისოდ, რომ უფრო მაღალ საფეხურზე ავიყვანოთ საბჭოთა ადამიანის აღზრდის დონე. ცნობილია, თუ რა მუშაობას ეწევა ჩვენი პარტიული ორგანიზაცია, რათა დაამკვიდროს სოციალისტური საერთო ცხოვრების ნორმები და წესები და აღზარდოს ყოველმხრივ განვითარებული პიროვნება. ცნობილია ისიც, თუ რა შეურიგებელ ბრძოლას ეწევა საქართველოს კომპარტია მოსახლეობის ერთ ნაწილში კერძომესაკუთრული, მეშჩანური ფსიქოლოგიის დასაძლევად. ამაზე ერთი ამბავი აქვთ ატეხილი ჩვენს ეგრეთ წოდებულ საზღვარგარეთელ „მეგობრებს“. ვეწევით რა ამ, მე ვიტყოდი, წმინდა ბრძოლას ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ, ჩვენ ვებრძვით, როგორც უკვე ითქვა, არა ამ ბოროტების მატარებელ ადამიანს, არამედ ადამიანში დაბუდებულ ბოროტებას. ჩვენ ვებრძვით ყოველივე არაადამიანურს ადამიანში, და ამას ვაკეთებთ თვით ადამიანის საკეთილდღეოდ, მის პიროვნებაში ყოველივე ჰუმანურის, კეთილის, პოზიტიურის დასამკვიდრებლად.

ახალი კონსტიტუციის პროექტში ნამდვილი ლენინური სიღრმით და სიცხადით არის განსაზღვრული სახელმწიფოს, საზოგადოების, კოლექტივის, პიროვნების ადგილი და ამოცანები. ჩვენ უკვე გარკვეული მუშაობა გავწიეთ იმისათვის, რომ თითოეულ შრომით კოლექტივსა და საერთოდ რესპუბლიკაში გაგვეუმჯობესებინა პოლიტიკური და მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატი. რა მიგვაჩნია ჩვენ საზოგადოების ძირითადი უჯრედის — მშრომელთა კოლექტივის მორალურ-ფსიქოლოგიურ კლიმატად? ჯანსაღი მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატი, რომელიც ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების მტკიცე შენადნობს წარმოადგენს, მას უზრუნველყოფს მხოლოდ სოციალიზმის პირობები და ამ კლიმატის გამარჯვების გარანტიაა მისი ისეთი პრინციპების გამარჯვება, როგორიცაა პატიოსანი, კეთილსინდისიერი, შემოქმედებითი, ნოვატორული შრომა, როგორიცაა სამართლიანობა, სრული ფაქტიური თანასწორუფლებიანობა, ღრმა ინტერნაციონალიზმი, უფლებებისა და მოვალეობების, თავისუფლებისა და დისციპლინის ერთიანობა, ერთმანეთის ნდობა, ურთიერთდახმარება და ორმხრივი მომთხოვნელობა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ისეთი ატმოსფერო, როდესაც ადამიანი გრძნობს, რომ იგი სჭირდება საზოგადოებას, და როცა საზოგადოება ყოველ ღონეს ხმარობს, რათა ყოველი ადამიანი საჭირო იყოს მისთვის. როცა ჯანსაღ პოლიტიკურ, ზნეობრივ-ფსიქოლოგიურ კლიმატზე ვლაპარაკობთ, ყურადღების ცენტრში გვაქვს უწინარეს ყოვლისა მასების ინტერნაციონალისტური აღზრდის საკითხი. ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა, პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა თავის დროზე გვირჩიეს გაგვეუმჯობესებინა ეს მუშაობა, ხოლო სკკპ XXV ყრილობაზე მხარი დაუჭირეს ღონისძიებებს, რომლებიც რესპუბლიკაში ხორციელდება ამ მიმართულებით.

ახალი კონსტიტუციის პროექტი, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენება გამსჭვალულია ლენინური მზრუნველობით საბჭოეთის ხალხებზე, თითოეულ რესპუბლიკაზე. ეს დოკუმენტები აღარ უტოვებენ ადგილს არც ნაციონალისტური და არც შოვინისტური ყაიდის ანომალიის გამოვლინებებს. ამასთანავე ჩვენ კარგად გვესმის, რომ თანამედროვე ბურჟუაზიული იდეოლოგები, რომლებმაც ჯვაროსნული ლაშქრობა წამოიწყეს სოციალიზმის წინააღმდეგ, თავიანთ დივერსიებს დასავლეთის პროპაგანდისტული ცენტრებიდან იმ მიზნით აწყობენ, რომ ერთმანეთს წაჰკიდონ ხალხები, ჩააგონონ ცალკეულ ერებსა და ეროვნებებს ეროვნული უპირატესობის, განსაკუთრებულობის გრძნობა, გაუღვივონ ეროვნული ამპარტავნობისა და ეროვნული ყოყოჩობის ინსტინქტები. ვიგერიებთ რა მათს მტრულ გამოხდომებს, ჩვენ ვახორციელებთ შემტევ იდეოლოგიურ მუშაობას, ვზრდით და კვლავაც აღვზრდით მასებს იმ სულისკვეთებით, რომ ეროვნული აღორძინება, ეროვნული განვითარება, როგორც ცხოვრებამ გვიჩვენა, შესაძლებელია მხოლოდ პროლეტარული, სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პირობებში, ხალხთა ლენინური მეგობრობისა და ძმობის ატმოსფეროში. სოციალიზმის პირობებში ნაციონალიზმი, ისევე როგორც შოვინიზმი, კერძოდ, მისი ისეთი ნაირსახეობა, როგორიცაა კუთხური შოვინიზმი, — ეს არის არა მარტო ინტერნაციონალიზმის საწინააღმდეგო და კომუნისტური მშენებლობის ინტერესებისადმი დაპირისპირებული მოვლენა, არამედ ფაქტორიც, რომელიც იწვევს საკუთარი ერის ინტერესების, მშობელი ხალხის ინტერესების ღალატს, ვინაიდან ნაციონალიზმი და მისი მსგავსი მოვლენები ადამიანებს უკან, წარსულისაკენ ეწევიან და კონსერვატიზმისა და პროვინციალიზმის ჭაობში ითრევენ.

ახალი კონსტიტუციის პროექტში ბრწყინვალედ არის ჩამოყალიბებული დებულებანი ჩვენი სახელმწიფოს პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური ძლიერების საფუძვლებისა და ხალხთა ლენინური მეგობრობის შესახებ. მაგრამ დაწერილ კანონებთან ერთად ჩვენ გვაქვს დაუწერელი, ხალხთა ნებით შექმნილი კანონებიც, რომლებიც უდიდეს მორალურ-პოლიტიკურ და ზნეობრივ-ფსიქოლოგიურ როლს ასრულებენ. ამ დაუწერელ კანონთაგან ერთ-ერთია დიდი რუსეთის, რუსი ხალხის იმ ისტორიული როლის საყოველთაო-სახალხო პატივისცემა, რომელიც მათ შეასრულეს ოქტომბრის რევოლუციაში, დიდ სამამულო ომში, ხალხთა მეგობრობის განმტკიცებაში, სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობაში.

დიდმა ოქტომბერმა, რომლის შემოქმედი, სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი იყო რუსეთის პროლეტარიატი, აღორძინა და განადიდა საბჭოთა კავშირის ყველა ერი, ყველა ხალხი. ქართველმა ხალხმა იცის სიყვარულისა და ძმობის ყადრი. ჩვენ, საქართველოს რესპუბლიკიდან წარმოგზავნილ დეპუტატებს ამომრჩევლებმა მოგვცეს განაწესი — ამ მაღალი ტრიბუნიდან ამაღელვებელ და ყოველი ჩვენგანის ამამაღლებელ წუთს კიდევ ერთხელ შევფიცოთ ძმობა, ერთგულება და მეგობრობა დიდსა და გენიალურ რუს ხალხს, და ჩვენი ფიცი ისევე უკვდავი და მარადიულია, როგორც ხალხი! (ტაში).

და ჩვენც, ამომრჩეველთა განაწესისამებრ, გულის კარნახით, მხურვალე მადლიერების გრძნობით მივმართავთ საბჭოთა კავშირის ყველა ხალხებს მათი სრულუფლებიანი წარმომადგენლების, მათი დეპუტატების სახით, აქ, ახალი კონსტიტუციის მიღების ისტორიულ აქტს რომ ესწრებიან, და მადლობას მოვახსენებთ იმ დიდი და უანგარო წვლილისათვის, რომელიც საბჭოთა საქართველოს ეკონომიკისა და კულტურის აყვავებაში შეიტანეს.

რეალური სოციალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში გაერთიანდნენ პლანეტის მთელი რეაქციული ძალები — იმპერიალისტები, ოპორტუნისტები, დოგმატიკოსები, ყველა ჯურის რევიზიონისტები.

თავის შესანიშნავ მოხსენებაში ლეონიდ ილიას ძემ საკადრისი პასუხი გასცა სოციალიზმის მტრებს. ამ ფონზე ახალი ძალით გაისმის მარქსისა და ენგელსის უკვდავი სიტყვები განთქმული მანიფესტიდან „აჩრდილი დადის ევროპაში, აჩრდილი კომუნიზმისა“. მაშინ ამ აჩრდილის წინააღმდეგ „წმინდა“ ბრძოლისა და დევნისათვის გაერთიანდნენ ძველი ევროპის მთელი ძალები — რომის პაპი და მეფე, მეტერნიხი და გიზო, ფრანგი რადიკალები და გერმანელი პოლიციელები. მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებლები თითქოს დღევანდელობაზე ლაპარაკობდნენ, განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ „კომუნიზმის აჩრდილი“ უკვე გახდა თანამედროვე სამყაროს განმსაზღვრელი და გადამწყვეტი ძალა, რეალური სოციალიზმის უძლეველი ძალა, რომელიც რევოლუციურ გავლენას ახდენს ისტორიის მსვლელობაზე, ხალხებისა და მთელი კაცობრიობის ბედზე.

ისინი, ვინც ვერას გახდნენ „კომუნიზმის აჩრდილთან“, მით უმეტეს ვერას დააკლებენ რეალურ სოციალიზმსა და კომუნიზმს. ასეთია ისტორიის ლოგიკა, ასეთია ჩვენი წინსვლა-განვითარების ძლევამოსილი დიალექტიკა, რომელსაც ხალხისა და პარტიის ნებით ამკვიდრებს სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია. (ტაში).

მონოლითური კავშირი

„კონსტიტუციის პროექტის განხილვამ ერთხელ კიდევ ცხადყო, თუ რაოდენ მკვიდრი და ცხოველმყოფელია კომუნისტური პარტიის გარშემო შეკავშირებული საბჭოთა საზოგადოების ყველა კლასისა და სოციალური ჯგუფის, ყველა ერისა და ეროვნების ყველა თაობის ერთიანობა“ — 1977 წლის 4 ოქტომბერს ლ. ი. ბრეჟნევის მიერ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე წარმოთქმული ეს სიტყვები ერთხელ კიდევ ადასტურებს იმ ჭეშმარიტებას, რომ დღეს ჩვენი დიადი სამშობლო მონოლითურია ისე, როგორც მისი 60-წლიანი ისტორიის ყოველ საპასუხისმგებლო მონაკვეთზე, მტკიცე ისე, როგორც შეშვენის განვითარებული სოციალიზმის ქვეყანას.

კონსტიტუციის პროექტის განხილვას, როგორც ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვაში აღინიშნა, მიეძღვნა მშრომელთა მილიონნახევრამდე კრება. მის განხილვაში მონაწილეობდა ასორმოცი მილიონი კაცი. ეს კი მიუთითებს იმაზე, რომ „სწორედ მთელი საბჭოთა ხალხი გახდა თავისი სახელმწიფოს ძირითადი კანონის ნამდვილი შემოქმედი“. სასიხარულოა ის ფაქტი, რომ საკონსტიტუციო კომისიამ საჭიროდ ჩათვალა კონსტიტუციის პროექტში შეიტანოს მთელი რიგი სასარგებლო დამატებანი, დაზუსტებანი, შესწორებანი. ნიშანდობლივია, რომ ლეონიდ ილიას ძემ თავის სიტყვაში კონკრეტულად მიუთითა შესწორება-დამატებათა ავკარგიანობაზე, განმარტა, რატომ არ შეიძლებოდა ყველა წინადადების გათვალისწინება ჩვენი სახელმწიფოს ძირითად კანონში. ამავე დროს მან საკადრისი პასუხი გასცა ბურჟუაზიული პრესისა და კაპიტალისტური სამყაროს ინფორმაციის სხვა საშუალებათა მიერ ჩვენი ქვეყნის კონსტიტუციის პროექტის ირგვლივ ატეხილ ცილისმწამებლურ „კრიტიკას“.

ლ. ი. ბრეჟნევის მიერ სსრ კავშირის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მეშვიდე სესიაზე წარმოთქმული სიტყვა კიდევ ერთი ნათელი მაგალითია უდიდესი სახელმწიფოებრივი და პარტიული საქმისადმი ჭეშმარიტად მარქსისტულ-ლენინური მიდგომისა, იმისა, რომ საბჭოთა ადამიანები კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით კვლავ ამაყად ივლიან წინ, მსოფლიოში ყველაზე სამართლიანი საზოგადოების მშენებლობის გზაზე.

ჩვენ, საბჭოთა ადამიანებმა, რომლებმაც ახალი კონსტიტუციის სახით უკვე ხელთ მივიღეთ კომუნიზმის აგებისთვის ახალი მძლავრი იარაღი, კეთილსინდისიერი შრომით, ახალ-ახალი წარმატებებით უნდა ვუპასუხოთ ახალ კონსტიტუციას.

ა. კორინთელი,

„სპარტაკის“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე.

პრეტენდენტთა ნახევარფინალები

მეთერთმეტე პარტია

ტალინი, 6 ოქტომბერი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). დღეს დილით თამაშის განუახლებლად ე. ახმილოვსკაია დანებდა მ. ჩიბურდანიძეს მატჩის მეთერთმეტე პარტიაში, რომელიც გუშინ დაუმთავრებელი დარჩა. ამ გამარჯვებამ დააწინაურა ქართველი მოჭადრაკე — 6:5. სათამაშოა მხოლოდ ერთი (მეთორმეტე) პარტია. მატჩის მოსაგებად ჩიბურდანიძეს ყაიმიც ყოფნის.

გთავაზობთ მეთერთმეტე პარტიას.

ახმილოვსკაია — ჩიბურდანიძე

ძველინდური დაცვა

1. d4 მf6 2. მf3 g6 3. g3 კg7 4. კg2 0—0 5. 0—0 d6 6. c4 მc6 7. d5 მa5 8. მfd2 c5 9. მc3 e5 10. a3 b6 11. b4 მb7 12. ეb1 მg4 13. h3 მh6 14. მ2e4 f6 15. კd2 მf7 16. bc მ:c5 17. მ:c5 bc 18. e4 კh6 19. კ:h6 მ:h6 20. ლa4 მf7 21. მb5 f5 22. ef კ:f5 23. ეb2 ლd7 24. მc3 ლ:a4 25. მ:a4 ეab8 26. ეa1 კd7 27. ე:b8 ე:b8 28. მc3 ეb3 29. მd1 მფg7 30. მe3 მფf6 31. ეa2 კf5 32. h4 მh6 33. კf3 კb1 34. ეa1 მf5 35. კd1 ეb2 36. კa4 მ:e3 37. fe მფf5 38. კd7+ მფe4 39. a4 კd3 40. a5 მფ:e3. თეთრები დანებდნენ.

მატჩის დაძაბულმა ფინიშმა განაპირობა რთული ძველინდური დაცვის არჩევა. გათამაშებულ იუგოსლავიურ სისტემაში ჩიბურდანიძემ მსოფლიოს ექს-ჩემპიონის რ. ფიშერის მხედრის მანევრი გამოიყენა.

მე-16 სვლაზე შეიქმნა კრიტიკული პოზიცია. ჩიბურდანიძე დაფიქრდა: რით აეყვანა c5 პაიკი — d პაიკით თუ მხედრით? პირველ შემთხვევაში ახმილოვსკაია 17. d6-ით ინიციატივას დაეუფლებოდა. მაიამ მხედრით აყვანა ამჯობინა და პოზიცია კვლავ რთული დარჩა.

შემდგომ ახმილოვსკაიამ თამაშის საეჭვო გეგმა განახორციელა, როცა მეტოქეს ლაზიერები გააცვლევინა. ენდშპილი ქართველი მოჭადრაკისთვის უკეთესი აღმოჩნდა.

პარტიის მეორე ნახევარი ჩიბურდანიძემ უნაკლოდ წარმართა. მან ტექნიკურად გამართული მანევრებით შეავიწროვა თეთრი ფიგურები. მერე თავის მეფეს მეტოქის ბანაკისკენ გაუხსნა გზა, რომლის ჩახერგვას ახმილოვსკაია ამაოდ ცდილობდა. შავი გვირგვინოსანი მაინც შეიჭრა თეთრების განლაგებაში და პაიკი მოიგო. ამასობაში თამაშისთვის განკუთვნილი დროც ამოიწურა. პარტია გადაიდო, მაგრამ მისი შედეგი ნათელი იყო.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ბოლო ორ პარტიაში ჩიბურდანიძის დამაჯერებელი თამაში. აქ მან საოცარი ნებისყოფა და ბრძოლისუნარიანობა გამოამჟღავნა.

სტარტი ბაქოში

ბაქოში სტარტი აიღო სსრ კავშირის ვაჟთა 45-ე ჩემპიონატის I ლიგის ტურნირმა. შეჯიბრების 18 მონაწილეს შორის 10 დიდოსტატი და 3 საერთაშორისო ოსტატია. I-IV ადგილებზე გასული მოჭადრაკეები ბრძოლას უმაღლესი ლიგის ტურნირში განაგრძობენ.

I ტურში ვ. სავონმა სძლია ა. პეტრუშინს, ბ. გულკომ — გ. ტიმოშჩენკოს, ვ. ბაგიროვმა — ა. ბელიავსკის, კ. გრიგორიანმა — გ. პერესიპკინს. დაზავდნენ ნ. რაშკოვსკი — ი. რაზუვაევი, ა. კოჩიევი — რ. ვაჰანიანი და ვ. ცეშკოვსკი — ვ. ტუკმაკოვი. ორი პარტია არ შედგა.

კვლავ ყაიმი

დასავლეთ ბერლინში შედგა ქალთა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა მეორე ნახევარფინალური მატჩის მეექვსე პარტია ე. ფატალიბეკოვასა (სსრ კავშირი) და ა. კუშნირს (ისრაელი) შორის. შეხვედრა ყაიმით დამთავრდა. მატჩის ანგარიშია 3,5:2,5 კუშნირის სასარგებლოდ.

ჭადრაკი

გაიმარჯვა კარპოვმა

ტილბურგში (ჰოლანდია) დამთავრდა დიდოსტატთა დიდი საერთაშორისო ტურნირი. დასკვნითს, XI ტურში მსოფლიო ჩემპიონი ა. კარპოვი დაუზავდა ვ. ჰორტს (ჰოლანდია) და 8 ქულით I ადგილი დაიკავა. 22 წლის ჯ. მაილსი (ინგლისი) დამარცხდა უ. ანდერსონთან (შვეცია) და 7 ქულით II ადგილზე გავიდა.

საბჭოთა დიდოსტატებმა ი. ბალაშოვმა და ვ. სმისლოვმა ტურნირი ასე დაამთავრეს: პირველმა ხუთი ქულით VIII ადგილი დაიკავა, მეორემ 4,5 ქულით — X.



თბილისი - 77

თავიდანვე უშეღავათოდ

თბილისი, ჭადრაკის სასახლე. I ტური. ა. გიპსლისი — პ. სეკეი (უნგრეთი) 0,5:0,5, ე. უბილავა — ნ. რადევი (ბულგარეთი) 1:0, რ. ბელინი (ინგლისი) — კ. კაიშაური (შვეცია) 1:0, ი. პლახეტკა (ჩეხოსლოვაკია) — გ. ზაიჩიკი 0,5:0,5. გადაიდო პარტიები რ. ხოლმოვი — რ. ნიჩევსკი (იუგოსლავია), ლ. ალბურტი — ბ. გურგენიძე, ა. როდრიგესი (კუბა) — ნ. ალექსანდრია. ე. მნაცაკანიან — თ. გიორგაძის პარტია არ შედგა.

II ტური. კაიშაური — გიპსლისი 0:1, ზაიჩიკი — როდრიგესი 1:0, რადევი — გურგენიძე 1:0, სეკეი — მნაცაკანიანი 1:0, გადაიდო უბილავა — პლახეტკას, ალექსანდრია — ხოლმოვის, ნიჩევსკი — ბელინის პარტიები. გიორგაძე — ალბურტის პარტია არ შედგა უკანასკნელის ავადმყოფობის გამო.

მემორიალში სტარტიდანვე საინტერესო ბრძოლა გაჩაღდა. მეტოქეები უშეღავათო თამაშისკენ მიილტვოდნენ, ამიტომ შეხვედრათა ნახევარი დაუმთავრებელი დარჩა.

თავი ისახელა 20 წლის თბილისელმა სტუდენტმა ზაიჩიკმა. პლახეტკასთან შეხვედრაში იგი დავდამცველის როლში აღმოჩნდა, მაგრამ ისეთი მძლავრი კონტრთამაში წამოიწყო, რომ საერთაშორისო ოსტატი იძულებული გახდა მუდმივ ქიშს დასჯერებოდა. ამ დღეებში კუბელი როდრიგესი საერთაშორისო დიდოსტატის წოდებას მიიღებს (ელოდება ფიდე-ს კონგრესს). თბილისელი ჭაბუკი არ შეუშინდა ტიტულოვან მეტოქეს და ტაქტიკურ გართულებებში აჯობა მას.

სტარტზე ყველაზე მეტად კაიშაური დაზარალდა. ბელინთან მას კარგი პოზიცია ჰქონდა, მაგრამ ცაიტნოტში გააფუჭა იგი.

კარგი შთაბეჭდილება დატოვა უბილავას იერიშმა რადევთან პარტიაში. მეორე დღეს ქართველმა ოსტატმა თამაში ვერააწყო პლახეტკასთან. გადადებული პოზიცია ჩეხოსლოვაკიელის სასარგებლოდაა.

სეკეი ძლიერი მოჭადრაკე ჩანს. მისმა მოულოდნელმა იერიშმა მნაცაკანიანის მეფეზე ყველა მოხიბლა.

შესაშური შეუპოვრობით იბრძვის ნანა ალექსანდრია. იგი ტოლს არ უდებს გამოცდილ მეტოქეებს. ხოლმოვმა შეაქო მისი გაბედული და იმედიანი თამაში. „ჩანს ნონას მაგალითი აგულიანებს, ძალას ჰმატებს მის კოლეგებს“, თქვა მან.

გურგენიძე დამარცხდა რადევთან პარტიაში. უკეთეს პოზიციაში (მაგრამ ცაიტნოტში), ჩვენმა დიდოსტატმა იჩქარა და მისი მეფე საშამათო ქსელში მოექცა. ალბურტთანაც მას უკეთესი შანსი (ზედმეტი პაიკი) ჰქონდა, მაგრამ ოდესელმა ოსტატმა (სხვათა შორის, ისიც საერთაშორისო დიდოსტატის წოდებას მიიღებს ფიდე-ს უახლოეს კონგრესზე) შეძლო თამაშის გათანაბრება.

პირველი შეხვედრების სიმძაფრე დაძაბულ სპორტულ ჭიდილს გვპირდება.

თ. გიორგაძე,
მემორიალის მთავარი მსაჯი,
საერთაშორისო არბიტრი.

• • •

სურათზე: გ. ზაიჩიკის (მარცხნივ) და ი. პლახეტკას შეხვედრა. მათმა პარტიამ ნ. ალექსანდრიას ყურადღება მიიპყრო.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

ჩემპიონთა თასი

მნიშვნელოვან მოულოდნელობათა გარეშე

ბევრი სპორტული ჟურნალ-გაზეთი მიმოიხილავს ფეხბურთში ევროპის ჩემპიონთა თასის პირველი წრის შედეგებს. ისინი იმ დასკვნამდე მიდიან, რომ რაიმე დიდ მოულოდნელობას ადგილი არა ჰქონია.

სსრ კავშირის ჩემპიონს, „ტორპედოს“ (მოსკოვი) ლისაბონის „ბენფიკის“ მიმართ ის არსებითი უპირატესობა ჰქონდა, რომ პორტუგალიაში სეზონი სულ ახლახან დაიწყო და გუნდები ჯერჯერობით შორს არიან ნამდვილი მზადყოფნისგან. როდესაც მოსკოველებმა ვერ გამოიყენეს ეს უპირატესობა და, უფრო მეტიც, პენალტების უძეიროდ შესრულების შედეგად გათამაშებას გამოეთიშნენ, „ბენფიკას“ ინგლისელი მწვრთნელი მორტიმერი ერთობ კმაყოფილი დარჩა. მით უმეტეს, რომ არც შემდგომი წილისყრა გამოდგა „ბენფიკას“ მიმართ მეტისმეტად მკაცრი: „1903 კოპენჰაგენის“ ნაცვლად პორტუგალიელებს შეიძლება გაცილებით უფრო უსიამოვნო მეტოქე შეხვედროდათ.

მიონხენგლადბახის „ბორუსიამ“ გასვლით მატჩში დამაჯერებლად სძლია უნგრეთის „ვაშაშს“, რის შემდეგ ყველაფერი გადაწყვეტილი იყო. ახლა გფრ-ის ჩემპიონის მომდევნო მეტოქეა ბელგრადის „ცრვენა ზვეზდა“, რომელსაც პირველ წრეში შედარებით სუსტი მეტოქე ჰყავდა. მიმომხილველები მიიჩნევენ, რომ ერთგვარი უპირატესობა დასავლეთგერმანელ ფეხბურთელებს უნდა მივნიჭოთ.

მეორე წრის ცენტრალურ შეხვედრად, ვფიქრობთ, მაინც ინგლისის „ლივერპულისა“ და გდრ-ის ჩემპიონატის ლიდერის „დინამოს“ (დრეზდენი) მატჩები უნდა ჩაითვალოს. „დინამოს“ პირველ წრეში მცირე უპირატესობა (2:0, 1:2) ჰქონდა შვეციის ჩემპიონ „ჰალმსტადთან“, მაგრამ გუნდი სულ უფრო უმატებს თამაშს. მის რიგებში გდრ-ის ნაკრების რამდენიმე ცნობილი მოთამაშეა (დიორნერი, ჰ. მიულერი, ჰიოფნერი, კრაიშე). რაც შეეხება ინგლისის ჩემპიონს, მას ნაკლებად შეეტყო ცნობილი თავდამსხმელის კიგანის დაკარგვა. მისი შემცვლელი, შესანიშნავი შოტლანდიელი თავდამსხმელი დალგლიში მინდორს ისე არ ტოვებს, გოლი რომ არ გაიტანოს.

პოლონური გაზეთი „პშეგლონდ სპორტოვი“ (ვარშავა) ყურადღებას აქცევს ბერძნული კლუბების წარმატებას ევროპული ტურნირების პირველ ტურში. 4 მათგანიდან 3 განაგრძობს ბრძოლას. განსაკუთრებით ძლიერია „პანათინაიკოსი“ (ათენი), რომელსაც ცნობილი პოლონელი სპეციალისტი კ. გურსკი უდგას სათავეში. „პანათინაიკოსს“ პირველ წრეში იოლი მეტოქე ჰყავდა, მაგრამ ახლა „ბრიუგს“ ხვდება, რომელიც ბელგიის ჩემპიონატში ლიდერობს. ეს შეხვედრაც უდავოდ საინტერესოა.

დიდი ამბიციები აქვს იტალიის ჩემპიონს „იუვენტუსს“. ნიქოზიის „ომონიის“ გზიდან ჩამოცილება მისთვის დიდი პრობლემა არ იყო. არც მეორე წრეში ჰყავთ იტალიელებს ძლიერი მეტოქე. მოსალოდნელია, რომ ისინი სძლევენ ჩრ. ირლანდიის „გლენტორანს“. წინა ხაზზე კაუზიოს ბონინსენიასა და განსაკუთრებით ბეტეგას ყოლა „იუვენტუსს“ დიდად საშიშ მეტოქედ ხდის. ეს გუნდი, რა თქმა უნდა, ჩემპიონთა თასისთვის აპირებს ბრძოლას.

გარკვეულ ინტერესს იწვევენ დანარჩენი შეხვედრებიც. საფრანგეთის ახალგაზრდული და ენერგიული „ნანტი“, რომლის ხელმძღვანელობამ საკუთარ თავს ნება მისცა დაეთხოვა რამდენიმე „ვარსკვლავი“, მადრიდის „ატლეტიკოს“ ხვდება. პირველი ტური ორივესთვის მეტად ძნელი გამოდგა. „ნანტმა“ 2 შეხვედრა ფრედ დაასრულა „დუკლასთან“ და მეორე ტურში მხოლოდ იმიტომ გავიდა, რომ მეტოქის მინდორზე ბურთი გაიტანა. მადრიდის „ატლეტიკოს“ ასევე მინიმალური უპირატესობა (1:2, 2:0) ჰქონდა ბუქარესტის „დინამოსთან“. ძნელი სათქმელია, ვის უნდა მიენიჭოს ახლა უპირატესობა. დაახლოებით იგივე ითქმის „ლევსკი-სპარტაკისა“ და ამსტერდამის „აიაქსის“, გლაზგოს „სელტიკისა“ (იგი სუსტად გამოდის შოტლანდიის ახლანდელ ჩემპიონატში) და ინსბრუკის „სვაროვსკი-ვაკერის“ შეხვედრებზე.

ბ. თორელი.

ფეხბურთი

ბუდაპეშტი. უნგრეთის ფეხბურთელებმა „ნეპშტადიონზე“ მიიღეს იუგოსლავიის ნაკრები და დაძაბული ბრძოლის შემდეგ გაიმარჯვეს ანგარიშით 4:3 (2:1). საინტერესოა, რომ როცა მატჩის დამთავრებას აკლდა 8 წუთი, ანგარიში იყო 4:1 მასპინძელთა სასარგებლოდ (2 გოლი გაიტანა კერეჩიკმა, თითო — კერეკიმ და ვარადიმ, საპასუხო — შუშიჩმა), ამ მცირე დროში შუშიჩმა და ნიკოლიჩმა გაქვითეს 2 გოლი. მატჩს სჯიდა საბჭოთა არბიტრი ვ. ლიპატოვი.

პლიმუტი. ევროპის თასების მფლობელთა თასის განმეორებით მატჩში ინგლისის „მანჩესტერ იუნაიტედმა“ ანგარიშით 2:0 მოუგო საფრანგეთის „სენტ-ეტიენს“ და გავიდა მერვედფინალში.

როგორც ცნობილია, ეს მატჩი მოგვიანებით შედგა იმის გამო, რომ უეფა-ს გარკვეული სანქციების მიღება დასჭირდა „მანჩესტერ იუნაიტედის“ მიმართ. ეს კლუბი თავის გულშემატკივართა ხულიგნური საქციელის გამო ჯერ დისკვალიფიცირებული იქნა, ხოლო შემდეგ დაისაჯა ფულადი ჯარიმით და იძულებული იყო ეთამაშა ნეიტრალურ მოედანზე პლიმუტში.

მალმე. შვეციის ნაკრებმა აქ ამხანაგური საერთაშორისო მატჩი მოუგო დანიის გუნდს ანგარიშით 1:0. ბურთი გაიტანა ლარსონმა.

საპატიო ფრე

როტერდამი, 6 ოქტომბერი. სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრებმა გუნდმა აქ ითამაშა მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონთან — ჰოლანდიის ნაკრებთან და ფრედ დაამთავრა მატჩი — 0:0.

ჰოლანდიელები 15 ათასი მაყურებლის წინაშე წარსდგნენ რამდენადმე შეცვლილი შემადგენლობით. „ვერცხლის გუნდიდან“, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატში გამოდიოდა 1974 წელს, თამაშობდნენ მეკარე იონგბლადი, მცველები სურბიერი, რიისბერგენი, კროლი, ნახევარმცველი იანსენი და თავდამსხმელი კერკჰოფი. ვერ ჩამოვიდნენ კრუიფი და ნეესკენსი, ჰაანი და რენსენბრინკი.

ამ სიახლეთა მიუხედავად ჰოლანდიელებმა მაღალ დონეზე ჩაატარეს მატჩი და მით უფრო აღსანიშნავია საბჭოთა ფეხბურთელთა გააზრებული, შეთანხმებული მოქმედება. მიუხედავად იმისა, რომ ორივე გუნდს არაერთი შესაძლებლობა ჰქონდა წარმატებისთვის, ანგარიში არ გახსნილა.

სსრ კავშირის ნაკრებმა ითამაშა ასეთი შემადგენლობით: დეგტიარევი, პრიგოდა, ხინჩაგაშვილი, ბუბნოვი, მახოვიკოვი, ბურიაკი, კონკოვი, ბესონოვი, ვერემეევი (მინაევი), ჩესნოკოვი (კოლოტოვი), ბლოხინი.

კენჭისყრა — 18 ნოემბერს

უეფა-ს ოფიციალურმა წარმომადგენელმა გამოაცხადა, რომ ევროპის მომავალი ჩემპიონატის (ეროვნული ნაკრები გუნდებისთვის) კენჭისყრა 18 ნოემბერს გაიმართება ციურიხში. განაცხადების მიღება ფედერაციებისგან იწარმოებს 15 ოქტომბრამდე.

აწმყო, შობილი წარსულისაგან...

•

პირველივე წლიდან

ფეხბურთი, სპორტის ეს ვაჟკაცური, ტემპერამენტიანი და საინტერესო სახეობა თავიდანვე იზიდავდა ახალგაზრდობას, პოპულარობას იხვეჭდა არა მარტო მათში, არამედ ჭარმაგი ასაკის ადამიანებს შორისაც.

არაა გასაკვირი, რომ ოციანი წლების დასაწყისში კეთილმოწყობილი, რიგიანი საფეხბურთო მოედნების საკითხი ქალაქის ფარგლებში ძნელად მოსაგვარებელ პრობლემას წარმოადგენდა და არც არავინ იყო ხელისუფალთაგან ამ საკითხით დაინტერესებული იმპერიალისტური ომის, მენშევიკური ხელისუფლებისა და სამოქალაქო ომის შემდგომ შექმნილი მძიმე მდგომარეობის დროს. მაგრამ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველსავე წელს, რესპუბლიკის ხელმძღვანელობის დაინტერესებითა და დახმარებით მალე გამოინახა გამოსავალი და მტკვრის მარჯვენა მხარის ახალგაზრდობას დაეთმო ყოფილი სამხედრო ტაძრის საკმაოდ მოზრდილი მოედანი (მინისტრთა საბჭოს ახლანდელი სასახლის ტერიტორია), სადაც დილიდან დაღამებამდე გაისმოდა ბურთის ბათქაბუთქი...

აქ ახალგაზრდობა ასპარეზობდა ასაკობრივ ჯგუფებად დაყოფილი, ხშირად რამდენიმე მცირე ჯგუფი ერთდროულად თამაშობდა სკოლების, კლასებისა თუ საცხოვრებელი უბნების მიხედვით. ჩვენ, მთაწმინდელი ახალგაზრდობა, სხვა უბნელებთან შედარებით უფრო მასპინძლური სითამამით ვფლობდით ამ მოედანს, რამდენადაც ეს ე. წ. სტადიონი ჩვენს ტერიტორიაზე მდებარეობდა.

ასევე იყო მტკვრის მარცხენა მხრის უბნების ახალგაზრდობისთვის გამოყოფილი დღევანდელი ვ. ი. ლენინის სახელობის სპორტდარბაზისა და თბილისის ფიზკულტურის კომიტეტის ტერიტორია.

ხსენებული სტადიონების გარდა ზოგიერთ გარეუბანს (ვაკე, საბურთალო, დიდუბე, ავლაბარი) უკვე ჰქონდა პატარა საფეხბურთო მოედნები, მაგრამ უმთავრესად უვარგისი: ქვა-ღორღით სავსე, ეკალ-ბარდებიანი, ოღროჩოღრო.

უნდა აღინიშნოს, რომ „სობოროს“ მინდორი დამწყები ფეხბურთელებისთვის და იმდროინდელი გულშემატკივრებისთვის მოხერხებულიც გამოდგა, რამდენადაც მის თავში და ბოლოში დღევანდელი შ. ჩიტაძისა და ზ. ჭიჭინაძის ქუჩები აღიოდა აღმართებით, მოედნის მხარეს კედლებითა და რკინის მოაჯირებით, რომლებიც მაყურებელთა ტრიბუნებს მოგვაგონებდა და აქ დამსწრენიც ბლომად იყრიდნენ თავს. ეს განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მოზრდილთა ორი გუნდი თამაშობდა კვირაობით ან უქმე დღეებში.

მინდა მკითხველის ყურადღება შევაჩერო იმ ზემოხსენებულ კედლებზე, რომლებისგანაც 2 მეტრის დაშორებით იყო დადგმული საფეხბურთო კარები სპეციალური ბადეების გარეშე, რის მაგივრობას თვით კედელი ასრულებდა. ამიტომ მეკარეს სხვის დაუხმარებლად მაშინვე უკან უბრუნდებოდა გატანილი თუ კარს აცდენილი ბურთი.

მინდა დაწვრილებით მოგახსენოთ, თუ რატომ შევჩერდი ამ ერთი შეხედვით უმნიშვნელო ფაქტზე: ქართველი ფეხბურთელები დღესაც და წარსულშიც გამოირჩეოდნენ სისწრაფით, მოქნილობით და დახვეწილი ტექნიკით. აღფრთოვანებული მაყურებელი დაძაბული ადევნებს თვალს მოიერიშე მოთამაშეებს თუ რა მოხერხებულად უვლიან ხოლმე გვერდს ისინი მოწინააღმდეგეებს, გაივლიან მრავალ დაბრკოლებას დრიბლინგით, ფინტებით და კართან სასოებით მიტანილი ბურთი ზეზე წამომდგარი გულშემატკივრების თვალწინ... დიდი მანძილით სცდება კარს.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს ოსტატობა უნდა იწრთობოდეს და იხვეწებოდეს დიდი მონდომებით, აი სწორედ ისეთ კედელთან და რასაკვირველია, სატრენაჟო გეგმით და პროგრამით უნდა იყოს გათვალისწინებული.

„სობოროს“ სტადიონზე ხშირად დავმტკბარვართ ნანახით, როდესაც ქართული ფეხბურთის პიონერები ხვეწდნენ კარში დარტყმის ტექნიკას ბურთის მომწოდებლების გარეშე...

მით უფრო დასანანია ახლა, თუ რამდენჯერ „ჩაგვეფლავებია“ თითქმის მოგებული თამაში სწორედ კარში ზუსტად დარტყმაში გაუწვრთნელობის მიზეზით და შინ „ფრთებჩამოყრილი“ დავბრუნებულვართ. „სობოროს“ მინდვრის ძველი კედლები კი ფეხბურთელებს იმ დროს დიდ დახმარებას უწევდა.

ა. კუკულაძე,
საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.



ლაგოდეხის ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლაში სხვა სექციებთან ერთად დიდი პოპულარობით სარგებლობს ველოსპორტიც (მწვრთნელი მ. ყაველაშვილი). ამ ფოტოზე, რომელიც ჩვენმა სპეციალურმა კორესპონდენტმა მ. ზარბარიანმა გადაიღო, ლაგოდეხელი სპორტსმენები არიან აღბეჭდილნი.

კოლონელთა ტრიუმფი

თანამედროვე ხუთჭიდი

ტეხასის შტატის ქალაქ სან-ანტონიოში დამთავრდა მსოფლიოს პირველობა თანამედროვე ხუთჭიდში. დიდ წარმატებას მიაღწია პოლონეთის გუნდმა, რომელმაც 16029,99 ქულით პირველობა მოიპოვა, ხოლო მისი ლიდერი, მონრეალის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, 26 წლის ი. პიციაკ-პეციაკი კი კვლავ უძლიერესად ცნეს — 5484,68 ქულა.

საბჭოთა ნაკრები II ადგილს დასჯერდა — 16027,76 ქულა. მსოფლიოს სამგზის ჩემპიონმა, ლვოველმა პ. ლედნიოვმაც ვერცხლის მედალი მოიპოვა — 5401,85 ქ., ლედნიოვის გარდა საბჭოთა გუნდში ორი დებიუტანტი იყო: მოსკოველი ს. რიაბიკინი (V ადგილი; 5347,92 ქულა) და ფრუნზელი ა. ტარევი (VIII; 5277,92).

გუნდურ III ადგილზე უნგრეთის ნაკრები გავიდა — 15644,34 ქულა. პირად ჩათვლაში მესამე იყო პოლონელი ს. როტკევიჩი (9352,89).

სსრ კავშირის იუნიორთა ნაკრებმა უფროსებისგან განსხვავებით ჩემპიონობა მოიპოვა. პირად ჩათვლაში საუკეთესო იყო მოსკოველი ვ. ნეფედოვი — 5393,68 ქ.

თანამედროვე ხუთჭიდელთა მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში პირველად გაიმართა ქალთა ოფიციალური შეჯიბრება, რომელშიც ამერიკელმა ჯინა სვიფტმა იმარჯვა — 4660,55 ქულა.

სროლა

რომში გრძელდება ევროპის პირველობა ტყვიის სროლაში. ქალთა შორის მცირეკალიბრიანი შაშხანის სტანდარტზე (3×20) სროლაში მ. კანტანიმ (გდრ) 582 ქულა მოაგროვა და მსოფლიო რეკორდი დაამყარა. მანვე ამავე იარაღით წოლელა 60 გასროლაში 595 ქულა მოაგროვა. იუნიორთა შორის ეს ვარჯიში მოიგო კ. სტეფანიაკმა (პოლონეთი) — 594, ხოლო სტანდარტზე საბჭოთა სპორტსმენებმა ა. ლისენკომ და ი. რევუცკიმ იმარჯვეს — 577 და 574 ქულა.

მცირეკალიბრიანი პისტოლეტით მრგვალ სამიზნეებსა და სილუეტებზე სროლაში ჩემპიონი და მსოფლიო რეკორდსმენი გახდა საბჭოთა სპორტსმენი გ. კორზუ — 592.

ჭიდაობა

ამას წინათ მინსკში დამთავრდა შეიარაღებული ძალების თასის გათამაშება კლასიკურ ჭიდაობაში.

გუნდურ ჩათვლაში პირველი სამი ადგილი ასე განაწილდა: 1. ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქი, 2. ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქი (მწვრთნელი ლ. ხარტიაშვილი), 3. მოსკოვის სამხედრო ოლქი.

პირად პირველობაში ამიერკავკასიის გუნდიდან ჩემპიონები გახდნენ ვ. ბაგაევი, ი. ბერიშვილი, შ. გოგლიჩიძე, მ. ლექავა, კ. პაპიაშვილი და ა. მაისურაძე. II ადგილი ა. ასლანიანს ხვდა.

პირველი ნაბიჯი თასისკენ

მინსკი, 5 ოქტომბერი. ტანვარჯიშში სსრ კავშირის თასის გათამაშებაში აუცილებელი პროგრამის შესრულების შემდეგ ლიდერობენ როსტოველი ნ. შაპოშნიკოვა და მოსკოველი ვ. მარკელოვი.

16 წლის შაპოშნიკოვას შედეგია 36,95 ქულა. ევროპის ჩემპიონმა, 20 წლის მარკელოვმა „ექვსჭიდის“ ჯამში 55,55 ქულას მოუყარა თავი. (საკდესი).

ტანვარჯიშში

ფეხბურთი

გფრ

დიუსელდორფის „ფორტუნა“, რომელმაც ბოლო 3 მატჩში 6 ქულა აიღო საკუთარ მინდორზე, IX ტურის მატჩში შეხვდა მიონხენგლადბახის „ბორუსიას“. ანგარიშით 3:1 გაიმარჯვა „ბორუსიამ“.

მეტად პრინციპული მატჩი გაიმართა მიუნხენში, სადაც „ბაიერნმა“ მიიღო ერთპიროვნული ლიდერი — გელზენკირხენის „შალკე 04“. გულშემატკივრებს ალბათ ახსოვთ, რომ შარშან „შალკე 04“-მა საკუთარ მინდორზე სენსაციური გამარჯვება მოიპოვა „ბაიერნთან“ ანგარიშით — 7:0. ახლა მიუნხენელებმა იზეიმეს სენსაციური ანგარიშით გამარჯვება — 7:1. ყველაზე უცნაური ის არის, რომ „შალკე 04“ 9 ტურის შემდეგ 13 ქულით ისევ ერთპიროვნული ლიდერია.

12-12 ქულა მოაგროვეს მაინის ფრანკფურტის „აინტრაქტმა“, ბრაუნშვაიგის „აინტრაქტმა“ და „ჰამბურგერ შპორტფერაინმა“.

აი, IX ტურის სხვა შეხვედრათა შედეგები: „შტუტგარტი“ — „დუისბურგი“ 1:0, „სტ პაული“ (ჰამბურგი) — „ჰერტა“ (დას. ბერლინი) 3:0, „კაიზერსლაუტერნი“ — „მიუნხენ 1860“ 1:0, ბრაუნშვაიგის „აინტრაქტი“ — „საარბრიუკენი“ 3:0, ბრემენის „ვერდერი“ — „ჰამბურგერ შპორტფერაინი“ 1:2, „ფკ კიოლნი“ — დორტმუნდის „ბორუსია“ 4:1, „ბოხუმი“ — „მაინის ფრანკფურტის „აინტრაქტი“ 0:1.

დანია

ჩემპიონატის მორიგი, 24-ე ტურის შედეგები ასეთია: „ბოლდკლუბენ 1901 ნიკიობინგი“ — „კასტრუპ ბკ“ 1:0, „იფკ ფრედრიკსჰავნი“ — „ოდენზე 09“ 1:0, „რანდერს ფრეია“ — „1893 კოპენჰაგენი“ 1:4, „აარჰუს გფ“ — „ელსბიორგ ბკ“ 1:1, „1903 კოპენჰაგენი“ — „აალბორგ ბკ“ 1:0, „ჰოლბეკ ბკ“ — „ფრემი“ (კოპენჰაგენი) 5:1, „ოდენზე ბკ“ — „კიოგე ბკ“ 3:2, „ბკ კოპენჰაგენი“ — „ვეილე ბკ“ 3:2.

24 ტურის შემდეგ 39 ქულით წინ არის „ოდენზე ბკ“ (ბურთები 57-22). იგი 8 ქულით უსწრებს „1903 კოპენჰაგენს“, პირველობის დამთავრებამდე კი სულ 6 ტური რჩება.

ჩეხოსლოვაკია

V ტურის რამდენიმე მატჩი გამოტოვებული იქნა. ამ დღის ყველაზე დიდი მოულოდნელობა იყო ბრატისლავის „ინტერის“ დამარცხება (1:2) საკუთარ მინდორზე კოშიცეს „ლოკომოტივთან“.

I ადგილზე გადაინაცვლა ბრნოს „ზბროიოვკამ“. მან სძლია „ტრენჩინს“ (4:1) და 7 ქულა მოაგროვა. ამდენივე ქულა აქვთ ბრატისლავის „ინტერს“ და კოშიცეს „ლოკომოტივს“.

ჩემპიონატები, მატჩები, სიუჟეტები

უნგრეთი

VI ტურში პირველი მარცხი იგემა „ტატაბანიამ“, რომელიც ბუდაპეშტში ადგილობრივ „ჰონვედს“ ხვდებოდა — 0:2. ახლა დაუმარცხებელი მხოლოდ „უიპეშტ-დოჟა“ დარჩა (მან ფრედ — 1:1 დაამთავრა შეხვედრა „ფერენცვაროშთან“ და 10 ქულა აქვს). ამდენივე მოაგროვეს „ტატაბანიამ“ და „ჩეპელმა“.

მიმომხილველები ყურადღებას აქცევენ იმ ფაქტს, რომ ბუდაპეშტის მტკ-მ ახალი მწვრთნელის მესეის ხელმძღვანელობით მკვეთრად გააუმჯობესა თამაში და 9 ქულით IV ადგილზე გადაინაცვლა.

ბულგარეთი

7 ტურის შემდეგ 11 ქულით ერთპიროვნული ლიდერია სოფიის „ლევსკი-სპარტაკი“, რომელმაც საკუთარ მინდორზე ანგარიშით 5:0 სძლია ვრაცის „ბოტევს“. ცსკა-„სეპტემვრიისკო ზნამე“, რომელიც აქამდე პირველ ადგილზე იყო, წააგო (0:1) სოფიის „ლოკომოტივთან“ და ლიდერს 1 ქულით ჩამორჩა. 9-9 ქულა მოაგროვეს სოფიის „სლავიამ“ და „ლოკომოტივმა“, აგრეთვე, პლოვდივის „თრაკიამ“ და ბლაგოევგრადის „პირინმა“.

რუმინეთი

VII ტურის 7 შეხვედრა მასპინძლებმა მოიგეს, 2 კი ფრედ დასრულდა. მძაფრად მიმდინარეობდა გათამაშების ლიდერის — „აარგეშის“ მატჩი პლოეშტის „პეტროლულთან“. ლიდერი მალე დაწინაურდა — 2:0, მაგრამ თამაშის მიწურულისთვის ტაბლოზე უკვე 3:3 აღინიშნებოდა. მატჩის დამთავრებამდე 3 წუთით ადრე „არგეშმა“ მაინც შეძლო გადამწყვეტი ბურთის გატანა და ახლა 11 ქულით პირველ ადგილზეა.

პოლონეთი

კრაკოვის „ვისლა“ სულ უფრო უკან იტოვებს მდევრებს. IX ტურში ლიდერი შეცინში შეხვდა ადგილობრივ „პოგონს“. მასპინძლები გააფთრებით უტევდნენ, მაგრამ „ვისლამ“, სადაც განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ცენტრალური მცველი მაცულევიჩი და ახალბედა მეკარე ადამჩიკი, მოიგერია ყველა იერიში. 31-ე წუთზე სტუმართა თავდამსხმელის კმეციკის მიერ გატანილი ბურთი ამ მატჩში ერთადერთი აღმოჩნდა.

ახლა „ვისლას“ 16 ქულა აქვს. ლკს-მ (ლოძი) მოუგო ამავე ქალაქის მეორე გუნდს „ვიძევს“ — 2:1 და 12 ქულით II ადგილზეა. ასევე 12 ქულა მოაგროვა პოზნანის „ლეხმა“, რომელმაც ანგარიშით 1:0 დაამარცხა ვარშავის „ლეგია“.

საფრანგეთი

IX ტურში ნიცაში ერთმანეთს შეხვდნენ ლიდერები — „ნიცა“ და „მონაკო“. საინტერესო თამაში დამთავრდა ფრედ — 1:1. ახლა ამ გუნდებს 14-14 ქულა აქვთ. 12 ქულით III ადგილზე გადაინაცვლა „სენტ-ეტიენმა“, რომელმაც საკუთარ მინდორზე ანგარიშით 2:1 სძლია „რუანს“.

თბილისის სპორტულ ბაზებზე

ახალი კონსტიტუციის მიღების აღსანიშნავად დღეს დედაქალაქის სპორტულ ბაზებზე გაიმართება მასობრივი შეჯიბრებები და საჩვენებელი გამოსვლები სპორტის სხვადასხვა სახეობაში.

გამარჯვების კულტურისა და დასვენების პარკში ჩატარდება ასპარეზობანი კალათბურთში, ფრენბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, აკრობატიკასა და ბატუტზე ხტომაში.

ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში მოეწყობა შეჯიბრებები ქართულ ჭიდაობაში, კრივში, აკრობატიკაში, ბატუტზე ხტომაში. გაიმართება ერთდროული სეანსები ჭადრაკში.

„ლოკომოტივის“ სტადიონზე სტარტს აიღებს თბილისის მძლეოსანთა პირველობა. ქალაქის ქუჩებში ჩატარდება ველოსიპედისტთა ლაშქრობა. ყველა ეს ასპარეზობა 16 საათზე დაიწყება.

8 და 9 ოქტომბერს „დინამოს“ სტადიონზე გაიმართება მოსკოვის, ლენინგრადის, კიევისა და თბილისის ვეტერან ფეხბურთელთა ტურნირი (15 საათიდან), ხოლო დღეს თბილისის იპოდრომზე 11 საათზე გაიმართება დედაქალაქის პირველობა ცხენოსნობაში, ხოლო მტკვარზე (ბარათაშვილის ხიდთან) 16 საათიდან სპორტის მოყვარულები ნახავენ ნიჩბოსნებისა და საწყლოსნო თხილამურებით მოასპარეზეთა გამოსვლებს.

ხელბურთი. კიროვის სახელობის პარკის მოედნები. საერთაშორისო შეჯიბრება ვაჟთა გუნდებს შორის. „უნივერსიტეტი“ (ჰამბურგი, გფრ) — „ბურევესტნიკი“ (თბილისი). დასაწყისი: 9 ოქტომბერს — 16 ს., 10 ოქტომბერს — 17 ს.

რედაქტორი ა. ბასილაია.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და კარასკვისა. რედაქციის მისამართი: 380096. თბილისი. ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14; 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71;
93-97-56; მასობრივ ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-57; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-57; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-98-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-51.

7 ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 07929